წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. კვირა, 11 დეკემბერი

სამშობლო

ფასი 5 კ.

გაზეთის ფასი:
წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ, დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

განცხადების ფასი:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ.. უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., კნ. მიქელაძის სახლებში

№ 505 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 505

გაუბედურებული ქვრივი მატრონა კირილეს ასული, შვილები: ნინო, ლიდა, არჩილი და დავითი, სიდედრი დარია გიორგის ასული ჯიბლაძისა დები: თებროლე და მენიკი ლეჟავებისა, ნატალია რუხაძისა და სიძე ლევან გლახუას ძე რუხაძე გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ქუთაისის მთავრობის ქალთა გიმნაზიის საღვთო სჯულის მასწავლებლის დეკანოზ

მელიტონ მიხეილის ძის ცაგარეიშვილის

ტრაღიკულათ გარდაცვალებას—4 დეკემბერს. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზე საკუთარ სახლში, ჭავჭავაძის ქუჩაზე. გამოსვენება კვირას, 11 დეკემბერს, დილის 9 საათზე კათედრალურ საკრებულო ტაძარში. დაიკრძალება ქუთაისის მთავარ-ანგელოზის საკრებულო ტაძრის გალავანში.

მღვდელი ონისიმე სანიკიძე და მეუღლე სილკლიტი იგივე (გოგოცა) შვილებით გაიანე ბრელიძისა, შალვა, ნადეჟდა, აკაკი, რაისა, კირილე, გრიგოლი და ევგრაფი სანიკიძენი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, პირველნი საყვარელი ქვისლის, მეორე ძვირფასი სიძის და დანარჩენნი ბიძის

დეკანოზის მელიტონ მიხეილის ძის ცაგარეიშვილის

ტრაღიკულ გარდაცვალებას 4 დეკემბერს. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 5 სათზე საკუთარ სახლში ჭავჭავაძის ქუჩაზე. გამოსვენება კვირას, 11 დეკემბერს, დილის 9 საათზე კათედრალურ საკრებულო ტაძარში. დაიკრძალება ქუთაისის მთავარანგელოზის საკრებულო ტაძრის გალავანში.

ქუთაისის ქალთა გიმნაზიის არსებული მშობელთა წრის საბჭო აუწყებს საზოგადოებას ამავე გიმნაზიის მოძღვრისა და ქართული ენის მასწავლებლის

დეკანოზ მელიტონ ცაგარეიშვილის

ტრაღიკულათ გარდაცვალებას. პანაშვიდი დანიშნულია 10 დეკემბერს საღამოს $6\frac{1}{2}$ საათზე კლასიკურ გიმნაზიის ეკლესიაში.

ქუთაისის ქალთა გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო აუწერელი მწუხარებით აუწყებს: მეგობრებს, ამხანაგებს და ნაცნობთ დეკანოზი მამა

მელიტონ მიხეილის ძის ცაგარეიშვილის

ტრაღიკულათ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს $4\frac{1}{2}$ საათზე. ცხედარს გამოასვენებენ საკუთარ სახლიდან (გოსპიტლის და ჭავჭავაძის ქუჩის კუთხე) კვირას 11 დეკემბერს დილის 9 საათზე.

გულდათუთქული მშობლები: იოსებ კონსტანტინეს ძე, მეუღლე ოლღა ვახტანგის ასული, ბებიები: მატა ლევანის ასული, ივლიტე მოსეს ასული, ბიძეები: ივანე, მიხეილ და სიმონ კონსტანტინეს ძენი, ძმა პეტრე იოსების ძე და ბიცოლეები: ნადეჟდა სპირდონის ასული და ნინა სამსონის ასული მდივნები, აუწყებენ ნათესავთ მეგობართ და ნაცნობთ პირველნი საყვარელი ძმისა, მეორენი შვილიშვილისა, მესამენი საყვარელი ძმისწულისა, მეოთხე ძმისა და უკანასკნელნი მაზლისწულის მეხუთე კლასის ვორონეჟის კადეტთა კორპუსის მოწაფის

კონსტანტინე (კოწია) მდივნის

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზე. გამოასვენებენ დღით კვირას 11 დეკემბერს ნაშუადღევის 3 საათზე, მესხეთის ქუჩა საკუთარი სახლი. დაკრძალვა მოხდება სოფელ ბაკისუბანში წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში საყარეულო სასაფლაოზე.

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი
ხუთშაბათიდან, 8 დეკემბრიდან ახალი პროგრამა
მეკობრის დალუკვა
სამხედრო სანახაობა
ბედის ტრიალი
მოსკოვის ცხოვრებიდან, 4 ნაწ. რებიკოვასი და გრამოვის მონაწილეობით.
ორ ქმარს შუა სახუმარო 2 ნაწ. ალსტრუპის მონაწ.

ელექტრო „ამპირ“ თეატრი
ხუთშაბათიდან, 8 დეკემბრიდან ახალი პროგრამა
მეკობრის დალუკვა სამხედრო სანახაობა
2 სერია:
აფთრები (ვამპირები)
კინო რომანი 3 ნაწ.
სიყვარულმა გადარია
სახუმარო

გამოვიდა და იყიდება მშვენიერი
ქართული კედლის კალენდარი
კ. ოცხელის წიგნის მაღაზიის მიერ გამოცემული ქუთაისში
ფასი 4 აბაზი.

ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე. პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ.

ექიმი ი. ჩარეძოზე ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12\frac{1}{2}$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი: ლვოვშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე ზოკიელი დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ჩ-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

ექიმი ა. დ. მაჭავარიანი (ყოფილი უფროსი ექიმი სმეცკის გულსუსტებიანთა სანატორიისა) იღებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფებს დილის 8—10 და საღამოს 6—8 საათამდე. დადიანის ქ. სახლი ჩაჩანიძის (წულეისკირისეული)

ექიმი მულინი, ყელის, ცხვირის და ყურების ღებულობს ავადმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თფილისის ქუჩა № 70 სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

დოქტორი მედიცინისა დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვი. ღებულობს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს მუდამ დღე, მხოლოდ დილის ათი საათიდან თორმეტამდე. გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი.

ოდესის საბებიო კურსებ დამთავრებული ბებია ს. ს. ნემსაძისა უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავადმყოფთ რჩევა-დარიგებას. მისამართი: ოლდენბურგის ქუჩა, გეგედაშვილის სახლები, ფოსტის მახლობლათ.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის **საოლქო ინსპექტორი** მიიღებს მთხოვნელებს 11, 12 და 13 დეკემბერს საღამოს ხუთ საათიდან შვიდ საათამდე. ქუთაისის სავაჟო გიმნაზიის შენობაში.

საჭიროა მზარეული კაცი ან ქალი, აგრეთვე ბიჭი 10—14 წლ. მისამართი: *I-ый Садовый переул.*, ეფრემიძის სახლი, ბინა მ. ი. თათქარიშვილისა

№ 21†

(„ნომერი ოცდაერთი, ჯვრით“).

დრამა ხუთ მოქმედებად.

მოქმედნი:

1) **თევდორე პატრიშვილი,**
2) **ლადო ხოველი,**
3) **ლეონ ბერგი,**
4) **ირაკლი კოვზირიძე,**
5) **გარეგინ ყარდაშიანი,**
6) **არტემ გუგულიანი,**
7) **განო ლიმაური,**
8) **თინა გვრიტაძე,**
9) **ქეთო ლაშხი,**
10) **როტმისტრი შვილიევი,**
11) **როტმისტრი ხრაპი,**
12) **ვახმისტრი მალარინი,**
13) **ექიმი კუნცოვი,**
14) **დაჲ მოწყალებისა,**
15) **ვინმე მოხუცი,**
16) **პატარა ბიჭი—**
17) **ბიჭი—ჩუმია,**

ჟანდარმები, პოლიციელნი, მუშები, მოსეირნე ხალხი.

— —

მთელი ამბავი ხდება 190... წლის ზაფხულს. პირველი სამი მოქმედება სწარმოებს თბილისს, მეოთხე და მეხუთე მოქმედება—ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ ზღვის პირა ქალაქში.

— —

გარეგნობა და მოკლე დახასიათება უმთავრესს მოქმედთა.

თევდ. პატრიშვილი—შუა ხნისაა, ჯმუხი, თაფლის ფერი, ოდნავ ჭაღარა, დიდი თმა-წვერი აქვს. აცვია ძველი პიჯაკი, სადა პერანგი, „ჟოკეის“ ქუდი ხურავს. ატარებს დიდ ჯოხს. მეტად დინჯი კაცია. სასულიერო სემინარიის მეოთხე კლასიდან არის გამორიცხული.

ლადო ხოველი—22—24 წლისაა. მაღალი, წარმოსადეგი, სანდომიანი სახისა, გრუზა თმიანი და მოხდენილი. პირდაპირი, შეუპოვარი. აცვია ევროპიულად, მაგრამ დარბეულად. ესეც ნასემინარიელია.

ლეონ ბერგი მონათლული რუსის ებრაელი. ნასტუდენტარი. ძლიერ ლამაზი ვაჟკაცია. ქერა, ოქროს ფერი თმა ბეჭებზე სცემს. აცვია კოხტად და მდიდრულად.

ირაკლი კოვზირიძე საშუალო ტანისაა. ხორბლის ფერი, მოხდენილი. ხუჭუჭა დიდ თმებს ატარებს. წვერ-ულვაში კოხტათ აქვს შეკრეჭილი. აცვია შავი ხალათი ხურავს განიერ კალთებიანი შლიაპა. თავის რწმენის ფანატიკოსია: მკვახე და მოურიდებელი. სემინარიის მეექვსე კლასიდან არის გამორიცხული, 22—24 წლისა.

გარეგინ ყარდაშიანი ქართლელი სომეხი. შუა ხნისა შავგვრემანი, ეშმაკური სახე აქვს, დიდი ცხვირი, წარბი წარბს გადაბმია. მოკლედ შეკრეჭილი, ჯაგარისავით მსხვილი თმა-წვერი აქვს. აცვია პიჯაკი, პიჯაკს ქვეშ შავი ხალათი. სოფლის მასწავლებლადაა ნამყოფი.

არტემ გუგულიანი. ღუშელი სომეხი. მაღალ-მაღალი, გამხდარი, უსიამოვნო, ჭროდა კაცია, აცვია ევროპიულად, ხურავს „კასტელოკი“. ხელზე მოვაჭრეთ ნამყოფი.

განო ლიმაური. მოხდენილი ტანისა, უცვლად ლამაზი და მიმზიდველი სახისა, გიმნაზიაში სწავლა დამთავრებული, შავგვრემანი. ღიმრის ფერი გაკრეჭილი თმა კულულებათ დაჰყრია შუბლზე. ნამდვილი საქმის ქალია. პენსნეს ატარებს. 21—23 წლისაა. აცვია თალხი კაბა, კოხტა და მდიდრული. განო მისი პარტიული სახელია, ნამდვილად ჰქვიან ბაბალე წიკლაური.

თინა გვრიტაძე პაპიროსის ფაბრიკაში მომუშავე, ახალგაზდა, ლამაზი ქალიშვილია. უბირი, უსწავლელი. აცვია ღარიბულად, სუფთად.

ქეთო ლაშხი შუა ხნის მკერავი ქალი. კოხტაობს. ჩუმი არშიყია. ჰმეგობრობს ყარდაშიანს.

მოქმედება პირველი.

I

სცენა: თაღებიანი ჯურღმული, სტამბად მოწყობილი. უკანა კედელზე კიბეა მიყუდებული. კიბის თავში, პატარა ხვრელიდან, მოსჩანს, ოდნავი სინათლე.

მარჯვნივ და მარცხნივ, კედლებთან მდგომ კასსებზე ანთია წვრილ-წვრილი კართოფილის სანთელი. სცენის სიღრმეში, კიბის გვერდით მოსჩანს ხელით საბეჭდი მანქანა. მანქანის წინ ალაგია დასტა დასტა წიგნები და ქაღალდი. შუაში სდგას უბრალო დიდი სტოლი, რომლის ერთ მხარეს ალაგია ლიტრა წყლის ყურიანი ჭიქა და საწერ-კალამი, ამ სტოლზევე ჰყრია ძველი გაზეთები და კორექტურული ფურცლები. იქვე სდგას დიდი ლამფა „ელვა“, (მოლნია), ანთია.

I

(ფარდის ახდისას, კასებთან სდგანან: მარჯვნივ—**განო** და **ნინო**, მარცხნივ—**ყარდაშიანი** და **ქეთო**, ქალებს ზევიდან აცვიათ სამუშაო ლურჯი ხალათები. კასაში ასოებს არჩევენ. სიჩუმეა.)

განო (მიდის სტოლთან, ჭიქაზე წყალს დაისხამს, დალევს და დაიღრიჯება) ახ! სად ხარ ახლა ჩემო ლურჯა—ლიახვის წყალო! ამ ოხერა ქალაქში ყველაფერი აყროლებული და აშმორებულია! (ისევ თავის ალაგას მიდის).

ქეთო. იმიტომ, რომ აქ, ქალაქ ადგილას, დიდი ცოდვა ტრიალებს. თვით ჰაერიც კი მოშხამულია.

ყარდაშიანი. თქვენი სოფელი ხომ სულ ანგელოზებითაა სავსე და პირველი მათგანი შენა ხარ!

ქეთო. (შეუტევს ყარდაშიანს) ჰა! კიდევ დაიწყე?

ყარდაშიანი. არა! მე ამით ვათავებ შენთან ლაპარაკს. (ღიმილით გადახედავს ნინოს და ანიშნებს: „მე და ქეთო გუშინ წავიჩხუბენითო..“)

ნინო. ამხანაგო გარეგინ! დიდი მოუსვენარი ვინმე ხარ, ვინც არ გიცნობს! (იღიმება).

ყარდაშიანი. (ღიმილითვე) მოსვენებულები სასაფლაოზე წვანან, მე—კი,—მადლობა ალლახს,—ჯერ კიდევ პირში სული მიდგია.

ქეთო. (თავისთვის, თუმცა ყარდაშიანის გასაგონად) მაგრამ სული მეტის ნეტად მოკლე და...

ყარდაშიანი. (აწყვეტინებს) მე თქვენ ხმას არა გცემთ!

განო. (სათვალეებიდან გადახედავს ქეთოსა და გარეგინ ყარდაშიანს) ეს რა ამბავია? განა თქვენს დიდ მეგობრობას ასეთი სიტყვა პასუხი ეკადრება?

ნინო. რო იცოდე, ამხანაგო განო, ესენი კიდევ წაჩხუბებულან.. უნდა შევარიგოთ!

ქუთაისის ქალაქის თეატრი წარმ. № 28.
ბენეფისი ნინო ჩხეიძისა.
კვირა, 11 დეკემბერი 1916 წ.
ალ. დიუმა.

მარგარიტა გოტიე

დრ. 5 მოქმ. თარგმანი ვ გუნიასი და ალ. იმედაშვილისა.

მონაწილენი: ქ-ნი ბეჟანიშვილი ს., ლოლუა ა,,მდივანი მ., ჩხეიძე ან., ჩხეიძე ნ.
ბ-ნი გელოვანი მ., გომელაური ზ., იმედაშვილი ალ., კორიშელი პლ., მურუსიძე ან., სარელი ვლ., ყალაბეგიშვილი ალ., ჩხიკვაძე ვ.

რეჟისორი ალ. იმედაშვილი. თანაშ. ალ. გუგუშვილი ადგილების ფასი საბენეფისოა.
მორიგე წევრი გამგეობისა: ე მეღისაშვილი და გრ. ლადიძე
ადმინისტრაცია დრამატ. საზოგად. გამგეობისა დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
წარმოდგენის დროს დარბაზში შესვლა არ შეიძლება.

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ქუთ. განყოფილების

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ თერთმეტ (11) დეკემბერს დილის თერთმეტ საათზე შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში დანიშნულია განყოფილების წევრთა საგანგებო

საერთო კრება

განყოფილების **სტამბის** გაყიდვის საკითხის განსახილველათ. გადამწყვეტი ხმა ექნება იმათ, ვინც 1915 წლის წევრთა სიაში არის მოხსენებული; ან ვინც 1916 წ. საწევრო ფულის კვიტანციას წარმოადგენს.

მსოფლიო ომი.

(პეტ. დეპ. სააგ.)

უმაღლეს მთავარსარდ. შტაბისაგან.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. გუშინ პატარა პორსკის მიდამოებში მტრის მიერ აღებული ჩვენი ერთი როტის სანგრები ისევ დავიბრუნეთ. ბოლდურის მიდამოებში მოპირდაპირის დაბმული ჰაეროსტატი აეშვა და ქარმა ჩვენს მხარეს გამოაქროლა სად დაეშვა ეს ჰაეროსტატი, ცნობა არა გვაქვს. მდ. ნარიუვკაზე, გორბუტოვის მიდამოებში ჩვენმა მზვერავებმა გერმანელების დიდი რაზმი გაჰფანტეს და ტყვეებიც წამოიყვანეს. მდ. უსისველში ჩვენმა ჯარმა მაღლობები დაიჭირა. აქ ხელთ ვიგდეთ 3 აფიცერი, 25 ჯარისკაცი, 1 ტყვიის მფრქვეველი და ბევრი იარაღი, სოფ. გლიასხუტეს აღმოსავლეთით რამდენიმე მაღლობი ავიღეთ და ხელთ ნიგდეთ 3 აფიცერი, 211 ჯარისკაცი და 1 ტყვიისმფრქვეველი. მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

კავკასიის ასპარეზზე ცვლილება არ მომხდარა.

რუმინიის ასპარეზი რიმნიკ სერეტის სამხრეთ-აღმოსავლეთით მზვერავთა მოქმედებაა. ფილფეშტის სადგურისა და ბატოგუს მიდამოებში მოპირდაპირემ შემოგვიტია, მაგრამ სროლით შევაჩერეთ.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. ზოლოჩევის მიმართულებით, სოფ. გარბუზოვისა და გუჟალოვცეს მიდამოებში, მოპირდაპირე მედგრად გვიშენდა ზარბაზნებს. ჩვენმა ზარბაზნებმა გაჰფანტა რამდენიმე ჯგუფი ქვეითა და ცხენოსანი ჯარის, რომელიც სოფ. პრისოვცედან ჩრდილოეთისაკენ მიემართებოდა. მოპირდაპირემ სცადა მდ. ზოლოტოი ლიპას მარცხენა ტოტზე მდ. ცენიუვკაზე გადასვლა სოფ. შიბალინის მიდამოებში, მაგრამ სროლით შევაჩერეთ ტყიან კარპატებში, კიმპოლუნგ—იაკობენის რკინის გზის სამხრეთ-აღმოსავლეთ მიდამოებში მაღლობის ნაწილი ავიღეთ.

კავკასიის ასპარეზი. მთემლეს მიდამოებში, ყიზლყითის ჩრდილო დასავლეთით, ჩვენმა მზვერავებმა ოსმალები განდევნეს თხრილებიდან და დაუნგრიეს მოსაგერიებელი შენობები და მიწური საფრები მთაში ნიავქარია.

სპარსეთში, ქამადანის სამხრეთ დასავლეთით 50 ვერსზე ჩვენმა რაზმებმა სუბაშის უღელტეხილი დაიჭირეს.

რუმინეთის ასპარეზი. მდ. დუნაის მარცხენა ნაპირას, ბუზეოს ჩრდილოეთით, ჩვენი მოწინავე რაზმები მოქმედობს. ბუზეო-რიმნიკის გზატკეცილიდან ინსურაცი-ვიზზირუს შარა გზამდე მოწინავე ჯარისა და ზარბაზნებით ბრძოლაა. ინსურაცი-ვიზირის შარა გზის ორთავე მხარეს მოპირდაპირე ერთ პოლკი ცხენოსანი და ერთ პოლკ ქვეითა ჯარით იერიშებით მოდის, რომელსაც სროლით ვაფერხებთ. პირლიტა-ოტარკულის ბრძოლის ხაზზე მოპირდაპირემ ჩვენს ჯარს უკან დაახევინა, დობრუჯში მოპირდაპირეს იერიშები მოაქვს დუნაიდან ბოშვიომდე, ბალაბანისა და ბაშკიოს მიდამოებში მტერმა რამდენიმე მაღლობი აიღო, თუმცა ზოგიერთ ადგილიდან გავდევნეთ; დანარჩენ ადგილების დასაბრუნებლად ბრძოლა გრძელდება.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ზავის გარშემო გაზეთ „კიოლნიშე ცაიტუნგი“ სწერს: „თუ მოკავშირეები ზავზე არ დაგვითანხმდებიან, გაცემული იქნება ბრძანება, რომ წყალქვეშებმა თავისუფლად დაიწყონ მოქმედება; მაშინ ვერც ერთი ამერიკელი შეგვიშლის ხელს, რომ მოკავშირეები ზავზე ძალით დავითანხმოთ.

მოკავშირე სახელმწიფოებს გადაუწყვეტიათ გერმანიის ზავის წინადადებაზე ოფიციალურად გასცხცენ პასუხი, რომლის შინაარსი უკვე შეუდგენიათ შეთანხმებით.

— ამერიკაში გერმანელები დიდ აგიტაციას ეწვიან ზავის სასარგებლოთ გერმანიის ელჩს ვაშინგტონში გრაფ. ბერონსტორფს გაზეთებისათვის შეუტყობინებია, რომ გერმანეთი ზავის აუცილებელ პირობათ შეიარაღების საყოველთაო შემცირებას მოითხოვს მამავალ საზავო კონფერენციაზე, რომელზედაც მოითხოვს სახელმწიფოთა ყოველ გვარ კოალიციების აზრის არ ყოფას.

— ბულგარიის მეფეს გერმანეთის საზავო წინადადების გამოქვეყნების გამო ჯარისთვის სიტყვით მიუმართავს. მეფეს სიტყვა შემდეგ ნაირად დაუსრულებია.

გერმანელებს ურმინეთის ყველა მოზრდილ ქალაქისთვის მძიმე კონტრიბუცია დაუდვიათ. ბუქარესტისა, კრაიოვასა და სხვა რამდენიმე ქალაქში გერმანელებს დარჩენიათ ხორბლით სავსე ბეღლები.

— ლტოლვილი რუმინელნი უმძრავად მოაწყდნენ ბესარაბია; ოდესაში და კიშინიოვში მათ არ უშვებენ. მეტის მეტი გაჭირვებისაგან, შიმშილისაგან და სიცივისაგან დაბა-ქალაქების ქუჩებში ასობით იხოცებიან რუმინელნი.

ქუთაისი, 11 დეკემბერი.

გუშინდელ ნომერში ,,თანამედროვე აზრი‘‘ ჩვეულებრივის კილოთი უკიჟინებს ჩვენ ნაციონალისტებს, ვითომ ისინი მტრულის თვალით უყურებდენ ხალხის გამოფხიზლების საქმეს და ,,წყევლა კრულვით იხსენებდენ განმათავისუფლებელ მოძრაობას‘‘. ეს ერთხელვე აჩემებული უნიადაგო ბრალდება და ცილის წამებაა!..

ვისიმე შეცდომის აღნიშვნა და ცდა ამ შეცდომის გასწორებისა, ჩვენა გვგონია, ბევრად უფრო საპატიო მოვლენაა, ვიდრე ეს ჩვენ დასელებს მიაჩნიათ.

დროა ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოუღოთ უაზრო კინკლაობას და ჩვენს ყოფნასა და გულისთქმას ღრმად ჩავუკვირდეთ, სამართლიანად ავწონ-დავსწონოთ ჩვენი ნაქადაგევ-ნამოძღვრევ-ნამოქმედარი და ხალხსაც დავეკითხნეთ, ხალხსაც დავადებინოთ თავისი მსჯავრი,

შეუმცდარნი და უწყინარნი მხოლოდ სასაფლაოზე წვანან, ჩვენ კი არც ჩვენი შეცდომისა უნდა გვეშინოდეს და არც ამ შეცდომის გამოსწორებისა.

ყველა დაგვეთანხმება, რომ ამ ათიხუთმეტი წლის წინად ჩვენი ხალხიცა და ჩვენი მესვეურნიც სულ სხვაგვარ ფიქრობდენ და გრძნობდენ.

ცხოვრების რკინის კანონებმა, ჩვენმა პოლიტიკურ-ეკონომიურმა მდგომარეობამ და ამ უკანასკნელმა ომმა ნათლად დაგვანახვა ყველაფერი და მართლაც აუცილებლად მოითხოვს ჩვენ საქმეთა და მოძღვრებათა ,,რევიზიას‘‘.

ვისაც კი უყვარს ხალხი, მისი [illegible] დღეობა, უყვარს იდეა ხალხის სამსახურისა და არა მხოლოდ ჯიუტობა და ფანატიკობა, ის მოვალეა [illegible] თვით ხალხს და [illegible] მხრივ ბევრი ჩვენთაგანი სტყუის ხალხთან ნებსით თუ უნებლიეთ და ეს სიმტყუვნე ჩვენი უნდა ვამხილოთ მტერსაც და მოყვარესაც.

ამაშია ერთგვარი გამოსყიდვა დაკარგულ დროისა, ეს არის ერთად ერთი თავმდები წინამსვლელობისა...

მართალია ჩვენ და დასელები, მაგალითად, სულ სხვადასხვა. ნიადაგზე ვდგავართ, შეიძლება ეს ნიადაგი ერთმანეთის დაპირდაპირებაც იყოს, მაგრამ ობიექტი ჩვენის სამსახურისა არის ერთი და იგივე ხალხი, დემოსი,—ხალხი და დემოსი საქართველოისა.

რომელი სულელი იქნება-სთქვას, რომ მომავლის შემქნელი და ამყვავებელი არ იყოს ხალხი, დემოკრატია.

ჩვენი მოვალეობაა ამ ჟამად, მხოლოდ ისეთი ურთიერთობის დამყარება, რომ მთელი ხალხი და მისი ნაწილები შეიქმნენ ბოროტებისა, უსამართლობისა, უუფლებობისა და ძარცვა-გლეჯის გამანადგურებელ მუშტად.

ეს კი მოხდება მაშინ, როცა მთელი ხალხი გაიმსჭვალება ერთის ფიქრითა და ერთის გრძნობით.

ამ შემთხვევაში უნდა დაარსდეს ერთი პარტია—საქართველო და სხვა ყველანი ამ პარტიას უნდა ემსახურებოდენ.

საქართველო კი ეკუთვნის მშრომელ და გამრჯელ ხალხს საქართველოისას. მაშასადამე საქართველოს მომავალიც ეკუთვნის მხოლოდ და მხოლოდ დამოკრატიას და ვინც ამ დემოსს არ ემსახურება შეგნებულათა და გარკვევით, მას თვით დემოსივე მოახრევინებს ქედს...

ამ მხრივ ყველაზე ახლოს ხალხთან დგანან ამ ხალხის წიაღიდანვე გამოსული მუშაკები. მაგრამ ამ მუშაკებს დაავიწყდათ, თუ დაავიწყებინეს საქართველოს ძველი თუ ახალი სულის კვეთება და ეს არის პირველი და უდიდესი შეცდომა ჩვენი დასელებისა ..აქ ჯიუტობა პირდაპირ მომაკვდინებელი ცოდვაა, ვინაიდგან თვით ხალხი, როგორც ეგეთი, თვით დემოსი გრძნობს, რომ რაღაც აკლია და ეს რაღაც არის მისი მშობლიურ ეროვნული მეობის გათელვა და დავიწყება.

ჩვენის ღრმა რწმენით, ვიდრე დასელე-

ქეთო. (ბუზღუნით) მე შესარიგებელი არა მაქვს—რა!

ყარდაშიანი, (მხრების აწევით) მით უმეტეს—მე!

განო. რა საკადრისია ერთმანეთს ბავშვებივით ვებუტებოდეთ?! უეჭველია უბრალო რამეზე შეხირდებოდით,—ხომ?

ყარდაშიანი. (სიცილით) ვფიცავ ლუარსაბ თათქარიძის ბუზებს, არა დამიშავებია რა ამხანაგ ქეთოსათვის...

ქეთო. (თავს ვეღარ იკავებს და გადიხარხარებს) ეგ ენაც რომ არა გქონდეს, აქამდე მგლები შეგჭამდენ!

ყარდაშიანი. მგლებისაგან შეჭმა თუ არა სჯობდეს, შენს გადაკიდებას, შერცხვენილი ვიყო! არა, აბა, რა დაგიშავე გუშინ, რათ წამეჩხუბე? მე რომ სხვა მომწონდეს, შენ რა დავა გაქვს?

ქეთო. სტყუის, ძმები ნუ დამეხოცება, სტყუის! რა მოწონება, რის მოწონება!

ნინო და განო } აი, თქვე ეშმაკებო!

ქეთო. (მორცხვად) რანაირები ხართ, ღმერთმანი, ადამიანს ძალა უნებურად გააწითლებთ!

ნინო. ვაშა, ვაშა! დაგიჭირეთ, თუ არა? ამხანაგო, განო, მოდი და შევარიგოთ!

ყარდაშიანი. (ულვაშებში ჩაიცინებს) მე არა მსურს შერიგება.

ქეთო. არც მე მსურს

ნინო და განო } ჩვენ კი გვსურს, რომ შერიგდეთ!

განო. (ღიმილით მივა ქეთოსთან, ნინო—კიდევ გარეგინთან, წაავლებენ მკლავებში ხელს და ერთმანეთთან მიჰყავთ)

ქეთო. (ინაზება) დაიკარგოს! მაგას კაცი ხმას როგორ გასცემს?!

ყარდაშიანი. (ისეც ინაზება) აღარც მე მაქვს თავი მაგის ბუზღუნისა!

განო. ბევრს ნუ ლაპარაკობთ! მოიტათ ხელები! (**ნინო** მოსწევს გარეგინას ხელს, **განო**—ქეთოსას და ხელს ჩამოართმევინებენ).

ქეთო. (ყარდაშიანს ქვეშ-ქვეშ გაუღიმებს) მამა არ წამიწყდეს, თუ კიდევ დაიწყე ენის ჰარტალი, სამუდამოდ დაგემდურები.

ყარდაშიანი. (ღიმილითვე) ვეცდები ენა მუცელში ჩავიგდო, მაგრამ, უკაცრავად, მუცლის ხსენება ქალებთან, მგონია, უზრდელობაა! (საერთო ხარხარი და ამხანაგური ლაღობაა, მერე ყველა თავ-თავის ადგილს იჭერს და მუშაობას განაგრძობენ) (პაუზა).

განო. დიდება მაღალთა შინა . ღმერთსა, კაცთა შორის მშვიდობა და სათნოება! ასე არ სჯობია? ამხანაგებში უსიამოვნება საძრახისია!

ნინო უსიამოვნება, თორემ მილიონები გვაქვს გასაყოფი! წვრილმანობა კი ყოვმლთვის დასაძლევია.

ქეთო (ყარდაშიანს გადახედავს) იცით, რა მწარე ენა აქვს? ისეთს რამეს იტყვის ხოლმე, რომ ტყვიასავით გულზე მოგხვდებათ!

ყარდაშიანი. დღეის შემდეგ ბევრი შაქარი უნდა ვჭამო რომ ენა დამიტკბეს! (იცინის.)

ქეთო. (ღიმილით) სომეხო!

ყარდაშიანი. აბა, ქართველთან სომეხი რა სახსენებელია.

განო. ჰა! კიდევ დაიწყეთ? (იცინიან).

ნინო. გვეყოფა ამხანაგებო ამდენი ხუმრობა, ამდენი ლაღობა, საქმეს დაუჩქაროთ, თორემ საცაა ჩვენებიც მოვლენ. (სიჩუმე ჩამოვარდება. გაჩქარებით არჩევენ ასოებს.)

ყარდაშიანი. (კარგა ხანს შეჰყურებს დაღვრემილად მომუშავე განოს) ამხანაგო, განო!

განო. (თავ აუღებლივ გაიღიმებს) აქა ვარ!

ყარდაშიანი. ხომ იცი, რომ დღეს **ისიც** უნდა მოვიდეს?

განო. (თითქოს ვერ მიხვდაო) ვინ?

ყარდაშიანი. (ეშმაკურის ღიმილით და თვალის ჩაკვრით) აი, მე და შენ რომ ვიცით!

განო. (მორცხვად) გამეცალე იქით!

ყარდაშიანი. ამხანაგურის ალერსით) ჰა! მაგისთანები არ იყოს, თორემა... (თითს დაუქნევს).

განო. (უფრო ძირს დახრის თავს) თავი დამანებე—მეთქი! (**ნინო და ქეთო** ერთმანეთს გადახედვენ და მერე განოს ქვეშ-ქვეშ დააცქერდებიან).

ყარდაშიანი. (ვითომ თავისთვის) რას იზამს კაცი, წესია და ადათი ბუნებისა! თუმცა არ ვიცი, როგორ მორიგდებიან **ისა** და ირაკლი. ამ ბოლო დროს რაღაცას ედავებიან ერთმანეთს! (ღიღინებს).

„გზა სიარულმა დალია,
სიპი ქვა—წყალთა დენამა,
გოგო და ბიჭი დალია,
ერთმანეთისა ცქერამა!“

განო. (ყარდაშიანს მორცხვის ღიმილით გადახედავს) დიდი ეშმაკი ხარ, ვინც არ გიცნობს, მაგრამ ვერ მოგართვეს, რასაც შენ ჰფიქრობ! (ქალები თავდაჭერით იცინიან.)

ყარდაშიანი. (დააცქერდება) ვითომ?

ქეთო. დააყენე, კაცო, ეგ ენა, ძაღლის ქონით ხომ არა გაქვს ყბები მოქნილი?

ყარდაშიანი. (სიტყვას გადააბრუნებს) აი ძაღლი და ღორი დავუკალ იმის მკვდარს, ვინც ჩვენ ამ დღეში გვაყენებს, ზევით,—ამ ჯურღმულის თავზე,—ცხრათვალა მზე ანათებს და ჩვენ კი აქა ვლპებით... სიმშილით ვიხოცებით. რა სიცოცხლეა ასეთი სიცოცხლე?

განო. (გახარებული, რომ ლაპარაკის საგანი გამოიცვალა,—თავისებურის მშვიდი კილოთი და მტკიცედ) ცოტა კიდევ ამხანაგო, და ჩვენთვისაც ამოვა მზე ბრწყინვალე, მზე დიადი!

ყარდაშიანი. აცა, ვირო, ნუ მოკვდები, იონჯა ამოვა და მოძოვეო!

განო. იყუჩე, ამხანაგო! ასეთი თქმა არ შეგვშვენის... სულ მოკლეობა იგივე სიმხდალეა!

ყარდაშიანი. დედაკაცებზე მხდალი ვიღა იქნება? (ქალებს ღიმილით გადახედავს).

ქეთო. შერცხვეს ის დედაკაცი, რომელიც მამაკაცს ჩამოუვარდეს.

ყარდაშიანი. (ქეთოს) ყველა ხომ შენისთანა ქალაბიჭა არ არის?

ქეთო. (ვითომდა გაჯავრებით) გაგიხმეს ეგ ენა, ჰო და ჰო! (ყველანი გულიანად ხარხარებენ.)

ნინო. (სიცილ ქვეშ) რა ამბავი გვაქვს ამხანაგებო, გავჩუმდეთ, თორემ ჩვენი ხმა ქუჩას მიაღწევს.

ყარდაშიანი. ნუ გეშინიათ! ჯურღმულში ცოცხლად დამარხულთა ხარხარი, იგივე დუმილია! (ამ დროს მაღლიდან ჩამოესმით სტვენა. ყველანი ძალა უნებურად შეკრთებიან.)

ყარდაშიანი. (ყურს დაუგდებს) მოდიან.. მოდიან ჩვენი ვეფხვები. (განო წამოწითლდება. ყველანი მუშაობას გაახურებენ... კიბეზე რიგ-რიგად ჩამოდიან თევდორე, ირაკლი, ლეონ ბერგი.)

მოსულნი. (ჩამოსვლისთანავე სათითაოდ ამბობენ:)
გამარჯვება და ყოველივე სიკეთე ჩვენს ამხანაგებს.

დამხდურნი (ერთხმად) გაუმარჯოს თქვენს მოსვლას!

II

თევდორე. (დინჯად იქით-აქეთ იხედება) აბა, ამხანაგებო, მივეშველნეთ ერთმანეთს, ყველამ ხელი წავახმაროთ. საღამოსათვის უნდა მოვასწროთ ფურცლების დარიგება; თორემ ზეგ გაფიცვა ვეღარ მოესწრება! (უბიდან დედანს ამოიღებს, გახევს რამოდენიმე ნაჭრად და ყველას დაურიგებს. ერთ ნაჭერს თითონაც აიღებს, მერე ჩადგება ამხანახებში მარჯვნივ და დაიწყებს აწყობას. ირაკლიც მარცხნივ ჩადგება. მარტო ლეონ ბეგრი დადის კასსებს წინ, დაფიქრებულია. განო მზრუნველობით თვალს ადევნებს. ხანგრძლივი პაუზა).

უცბად ყარდაშიანი დაიწყებს ღიღინს მას ბანს აძლევს მეორე, მესამე, მეოთხე და მალე საამური, თუმცა დაბალი, მაგრამ ხმაშეწყობილი სიმღერა გაჩაღდება.

ლეონი შუაზე შეჩერდება და ყურს უგდებს).

„მეგობრებო წინ, წინ გასწით
ნუ შედრკება თქვენი გული,
დე, მკერდს სისხლის დალი აჩნდეს
და შუბლს—ოფლის ნაკადული!“

ლეონ ბერგი (გრძნობით) ან კი ვინ დაგვიდგება წინ! სადა თქვენის თანა მუშებია, იქ დამარცხებას რა ხელი აქვს?... ამ სიმღერამ ისეთს გუნებაზე დამაყენა, რომ მზადა ვარ მარტო მე გაუმკლავდე ყოველგვარ ბოროტებას..!

განო. (აღტაცებით შეჰყურებს) (სიტყვას აწყვეტინებს) ერთი კაცი ჭამაშიაც ბრალიაო!

ლეონ ბერგი. ერთი რათ ვიქნები! ჩვენს ზურგს უკან მთელი ლეგიონი დგას მაშვრალთა და ტვირთ-მძიმეთა—თუმცა ერთს კაცსაც ბევრი რამის გაკეთება შეუძლია: განა მარტო არ იყო მოსე წინასწარმეტყველი ებრაელები ეგვიპტეს ტყვეობიდან რომ გაანთავისუფლა? განა ერთად-ერთი არ იყო ისო ნავინი მზეს რომ უბრძანა შესდექიო და ჰავაონის ხეობაზე შეაჩერა? განა ეული არ იყო ძე მარიამისა ნაზარეველი, როცა ფარისეველნი და მატყუარნი ტაძრიდან დაიფრინა?- მომეცით მტკიცე რწმენის კაცი და მე სამს დღეში დავანგრევ ბჭეთა ავკაცობისას!

ყარდაშიანი (თავისთვის) ძაღლის კუდი კალაპოტშიაც ვერ გასწორდებაო... მაინც ებრაელობამ წამოჰკრა და თავისი „დაბადება“ გადაშალა!

განო (თავისდა უნებურად წყრომით გადახედავს ყარდაშიანს და მერე ბერგს) განაგრძეთ... განაგრძეთ, ამხანაგო!

ნინო (განოს) რა კარგი და ტკბილი ლაპარაკი იცის ლეონ ბერგმა!

ქეთო (ყურს მოჰკრავს) ნასწავლია და იმიტომ!

ყარდაშიანი (განოს გულის მოსაგებად) რამდენი ნასწავლია, რომ უშნოა და დაბღური!

ირაკლი (აქამდეც ამრეზით იყო და

ბი არ უარჰყოფენ ძველ ტაქტიკას და ვიდრე პირდაპირ, გადაჭრით, არ გამოაცხადებენ ეროვნულ უფლებებისათვის ბრძოლას, მინამდე ყოველთვის მოუხდებათ მათ შეცდომები. ხოლო როცა ხალხის შვილნი გაუძღვებიან ხალხის გულისთქმას და ანგარიშ გაუწევენ მის სახელმწიფოებრივ უფლებებს, მაშინ ყველა ჯურისა და სახის ჯგუფი თავს მოხრის დემოკრატიის წინაშე და ყოველგვარი დღეს არსებული ორჭოფობა, ისე გაჰქრება, როგორც ქაფური.

ეს არის ჩვენი რწმენა და აქეთკენ მივისწრაფვით ჩვენ მთელის ჩვენის არსებით...

ი. გ

პროტოპოპოვის ავათმყოფობა

უკვე ცნობილია, რომ როდესაც რუსეთში ხალხი, რომელიმე მინისტრს მიზანში ამოიღებს და პრესისა და თავის წარმომადგენლების საშუალებით მას უნდობლობას გამოუცხადებს, მთავრობა პირდაპირ არ გადააყენებს ხოლმე მას. მალე ამ მინისტრს გაუჩნდება ხოლმე „დიპლომატიური“ ავათმყოფობა, რაც ვითომ მას მუშაობის უნარს ართმევს და მერე გადააყენებენ ხოლმე:

ომამდე ეს ასე არ იყო; ხალხს არავინ ანგარიშს არ უწევდა და დღეს, როდესაც ძალა უნებურად ომის პირობების გამო ხალხს მეტი მნიშვნელობა მიეცა და მისი გათიშვა საზარალოა მთავრობისათვის, უკანასკნელი ხალხს ასე თუ ისე უთმობს, რათა მთავრობას და ხალხს შორის დამოკიდებულება არ გამწვავდეს, ხოლო, საზოგადოებამ რომ გამარჯვება არ იგრძნოს და მეტი გავლენა არ მოითხოვოს სახელმწიფო საქმეებში, ამას ისე სჩადის, თითქოს ხალხის უკმაყოფილებას ამა თუ იმ მინისტრის მოქმედებისა მის გადაყენებაში არავითარი როლი არ უთამაშნია და გარეშე მიზეზებს ასახელებენ.

„პარლამენტარისტმა“ პროტოპოპოვმა სათათბიროსი და ხალხის გულის წყრომა დაიმსახურა და საკანონმდებლო დაწესებულებაში მას უკმაყოფილებას უცხადებდენ.

მთავრობა იძულებული იყო რუსეთისათვის ამ მძიმე მომენტში ხალხის სურვილისათვის ანგარიში გაეწია, მაგრამ მეორეს მხრით არ უნდოდა ამ ძვირფასი მოსაქმე, ფრიად მარჯვე და მოხერხებულ პიროვნების მოშორება და ორიგინალურად გადასწყვიტა საკითხი.

დეპუტატ მინისტრს მოულოდნელად რაღაც „სენი“ შეხვდა მთავრობამ დიდი მზრუნველობა გამოიჩინა და შინაგან სამინისტროს საქმეებს მოაშორა და საშინისტროს გამგებლობა მის ამხანაგს კოკოლიასნოპოლკის გადასცეს. ხოლო ამ „დაწესებულების საქმეთა საერთო ხელმძღვანელობა“ ისევ პროტოპოპოვის ხელში დარჩა.

როგორ უნდა გავიგოთ ეს?

თუ მართლა შინაგან საქმეთა მინისტრი იმდენად ავად არის რომ ქაღალდებზე ხელის მოწერა არ შეუძლიან, როგორ გაუწევს საერთო ხელმძღვანელობას პასუხსაგებ სამინისტროს საქმეებს?!. თავის პოლიტიკის გასატარებლად, რომ მას მუდმივად დასჭირდება სხვა ბაასი დანარჩენ მინისტრებთან და თავისი პოზიციის დაცვა ერთის მხრივ და მეოს მხრივ საქმეების გაცნობა.

ნუ თუ ეს ქაღალდების ხელის მოწერაზე ადვილი საქმეა?!.

აქ აშკარაა ამ მახინაციის მიზანი ხალხის გულის მოგება არის, რომ იგი ტრეპოვის მინისტრთა კაბინეტს მტკიცედ მსახურებდეს:

ბ პროტოპოპოვი გარეგნულად სამინისტროს საქმეებს მოაშორეს და ამით უკმაყოფილოთა გულს მოიგებენ, ხოლო ნამდვილად კი ისე გამოდის, რომ მინისტრის ამხანაგი მხოლოდ ქაღალდებს მოაწერს ხელს და სამინისტროს მასულმდგომებელი ისევ პროტოპოპოვი დარჩება.

არა, ფრიად ძვირფასია მარჯვე მოსაქმე პროტოპოპოვი, რომ იგი ა. ფ. ტრეპოვმა გაიმეტოს და გვერდიდან მოიშოროს ამ კრიტიკულ მომენტში,

პრემიერს იმედი აქვს რომ პროტოპოპოვი თუ შესძლებს ისევ სათათბიროს ქვიშაზე დასმას, თორემ ამას სხვა ვერავინ მოახერხებს ამ ფრიად ყოჩაღი პროტოპოპოვი,

ზ. თბილელი.

ახალი ამბავი.

დღეს შუადღის 12 საათზე ქალაქის თეატრში, სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის კითხვა. ლექციას წაიკითხავს ალ. თორაძე და ალ. გარსევანიშვილი, პირველი: „ბესარიონ გაბაშვილი, მისი ცხოვრება და პოეზია“ ხოლო მეორე საბა სულხანორბელიანი, როგორც ხალხის გონებრივი წარმატების მაჩვენებელი''. ლექციების ფასი სახალხოა.

◆ მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს ქალაქის თეატრში ნინო ჩხეიძის საბენეფისოთ წარმოდგენილი იქნება ,,მარგარიტა გოტიე''.

◆ საპარქიო ქალთა სასწავლებლის მასწავლებელთა კორპორაციამ განსვენებული დეკანოზის მელიტონ ცაგარეიშვილის, როგორც ყოფილი მასწავლებლის და საბჭოს თავმჯდომარის ხსოვნის პატივსაცემლად მოაგროვა 25 მან. ღარიბ ბავშვებზე მზრუნველ საზოგადოებისათვის გადასაცემლად.

◆ ამ ჟამად ქალაქში ყვავილი თან და თან ვრცელდება, როგორც მოხსენებული გვქონდა ქალაქის სამკურნალოში მის საწინააღმდეგოთ მსურველთა უფასოთ აცრას 4 დეკემბრიდან შეუდგენ, მაგრამ მიუხედავათ იმისა რომ უფასოთ უცრიან, აცრის მსურველთა რიცხვი მაინც ცოტა არის.

◆ როგორც გვატყობინებენ, ახლად დაარსებული მომხმარებელთა საზოგადოებანი: სოფელ ზეინდარის ,,სოლიდარობა'' ს. სადმეტრაეოს ,,მეგობარი'' და სოფ. ობჩის ,,თანხმობა'' უკვე შესდგომიან ვაჭრობას, ხსენებულ მაზ. საზოგადოებებს შეუძენიათ აგრეთვე დიდ-ძალი პირველი მოთხოვნილების სურსათ სანოვაგე საქმის წარმოება სასურველ ნიადაგზე ყოფილა დამყარებული.

◆ ქუთაისის საგუბერნიო საერობო აგრანომმა უკვე მიიღო ,,საკის'' სისტემის გუთნები, ლეჩხუმის, რაჭის ქუთაისის, ზუგდიდის სენაკის და ოზურგეთის მაზრების აგრონომიულ ,,პუნქტებისათვის''.

◆ ქუთაისის გუბერნიის საერობო ინსტრუქტორს, იოილ (იოანა) მაჭავარიანს ქუთ. გუბერნიის საერობო აგრონომმა წინადადება მისცა დაამზადოს ლექცია მიწის გაუმჯობესებული წესით დამუშავების შესახებ. ლექცია ახლო მომავალში წაკითხული იქნება ქართულ ენაზე ქუთაისის გუბერნიის დაბა სოფლებში,

კვირას, 11 დეკემბერს დილის 10 ნახ. საათზე არქიელის გორაზე გოჭოურის სასაფლაოზე დანიშნულია ორმოცი დღის პანაშვიდი

მარიამ სიმონის ასულის ვასილ[illegible]

სულის მოსახსენებლათ, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ განსვენებულის ჭირისუფალნი.

◆ დაბა ხობში (ზუგდიდის მაზრა) გადაწყდა დაარსდეს სამეურნეო სასწავლებელი, ამ საქმის მოსაგვარებლად ქუთაისის გუბერნიის საერობო აგრონომიულ კანცელარიის ცნობით,, აურჩევიათ მზრუნველი კომისია, რომელშიაც შედიან: ქუთ. რეალურ სასწავლებლის მასწავლებელი სპ. ჯორჯიკია, ნაფიცი ვექ. თანაშემწე ლ. შურღაია, მღ. ნიკოლოზ სანაია, ოცისთავები: ბესო იოსავა, ისლამ დოლბაძე და ბესარიონ კირტავა.

◆ რედაქციამ მიიღო 1917 წლის კალენდარი, გამცემი კ. ოცხელის წიგნის მაღაზიისა.

◆ ქალაქის კავშირის ქ. ბათომის კომიტეტი, ტრაპიზონის რაიონის დაწესებულებათა საჭიროებისათვის სთხოვს მთავარ კომიტეტს 100,000 მანეთს.

◆ მოვაქცევთ ბაზრის ზედამხედველების ყურადღებას, რომ ადგ. მეპურეები იმ უვარგის პურს, როგორიც ამ ჟამათ ქუთაისში ცხოვება, ნიხრზე ზევით ჰყიდიან პური ნიხრის მიხედვით უნდა იყიდებოდეს ოყა (3 გირ.) 28 კაპ. და მეპურეები კი 3 გირვანქა პურს 30 კაპიკათ ჰყიდიან.

◆ ძველი ლაგირის ქუჩაზე გავრცელდა ქურდობა. გუშინ ღამით იოსებ ფხაკაძის ეზოში ღვინის მოსაპარავათ შეპარულა რამოდენიმე ქურდი, მაგრამ სახლის პატრონს ეს დროზე გაუგია და გამოკიდებია ქურდებს დამალვა მოუსწრიათ საჭიროა ქურდების თარეშს ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს.

◆ ქუთაისის გუბერნიის მმართველის განკარგულებით დააჯარიმეს 100 მანეთით ისხაკ ქვეტიაშვილი, ნავთის ნიხრზე ზევით გაყიდვისათვის. მისივე დადგენილებით ერთი თვით ციხეში ჯდომა მიუსაჯეს ადგ. მცხოვრებ დავით ჩიხლაძეს, ჯარის კაცთათვის ,,სპირტის'' მიყიდვისათვის, ხოლო ორი თვით—სასადილოს პატრონნთ კალისტ. კოლუაშვილს და ვასილ ბარამიძეს. ჯარის-კაცთათვის ღვინოს მიყიდვისათვის.

გუბერ კანცელარიის ცნობები.

სოფელ ერკეთში (ოზურგეთის მაზრა) 27 ნოემბერს ჩოხატაურის ბოქაულმა გაგზავნა დარაჯები, რომელთაც უნდა დაეფარათ გლეხი ივანე მინდაძე უკანასკნელს დავა ჰქონია მეზობელ პავლე ჯიქიასთან მიწის შესახებ და საქმე იმ ზომამდის მისულა რომ მინაძეს სიკვდილით დამუქრებია, როდესაც დაუნახავს დარაჯები მყისვე აუტეხია სროლა, მაგრამ დარაჯებს ის შეუპყრია და ჩაუბარებია ბოქაულისათვის.

— სოფელ მუხურში (ზუგდიდის მაზრა) 2 დეკემბერს, სამი შეიარაღებული ავაზაკები თავს დაესხენ იონა პერტიას, წაართვეს 33 მანეთი და მიიმალენ.

— 29 ნოემბერს, ამავე სოფელში მცხოვრებ გლეხს ანდრია გაბედავას მოპარეს ყუთი, როგორც პატრონის სიტყვიდან სჩანს, ყუთში ყოფილა 2000 მანეთი ფული, ხოლო ნივთები 1000 მანეთად ღირებული.

პროვინციის ცხოვრება.

სენაკი. პურის ფქვილი და შაქარი არ იშოვება. ვაჭრებს შაქარი უეჭველად გადამალული უნდა ჰქონდეთ, რადგან თუ დიდს ფასს გაიღებთ, ყოველთვისაც იშოვით (1—2 მანეთს გირვანქას).

— **სოფ. ბოდბის-ხევი.** არა გგონია რომელიმე სოფელში მოიძებნებოდეს იმდენი მკითხავი, რამდენიც აქ არის. როგორც კი ვინმე გაუხდებათ ავად, მაშინვე მკითხავს მიაშურებენ. მკითხავიც ცოტას არ სჯერდება: ფულდათ ათი შაური უნდა მიიტანოთ და ამის გარდა პური, ღვინო, ან სხვა ხორაგეული, ამას წინად ერთი ქალი გახდა ავად. მკითხავმა თქვა, თუ ექიმი მ· იყვანეთ, ავათმყოფი მოკვდებაო. პატრონებმაც მკითხავს დაუჯერეს. ქალი ერთი კვირა ავად იყო და მერვე დღეს წუთი სოფელს გამოესალმა. ბევრი ამგვარი სამწუხარო ამბავი ხდება, მაგრამ გულშემატკივარი არავინ არის.

— **სოფ. ფშაველი.** (თელავის მაზრა) ეს სოფელი მდებარეობს თელავის პირდაპირ წრეულს მოსავალი კარგი არ იყო. პურის და ქერის ყანები სეტყვამ მოსპო, ვენახები კი უწამლობით გაფუჭდა. სიმინდის მოსავალს

ახლა სულ მთლად გულ მოსული განოს გასაგონად) დაბღური, მაგრამ ჭეშმარიტების მღაღადებელი კაცი სჯობია მჭევრ-მეტყველსა და ცრუპენტელა მქადაგებელს! (ბერგს) ბატონო ლეონ ბერგ! თქვენ მართალს არა ბრძანებთ! პიროვნებას, როგორც ერთეულს, არა შეუძლიარა! პიროვნება ცხოვრების სულ უბრალო იარაღია. „**მე შენ, ის**“, უძლურნი ვართ. ძლიერია მარტოოდენ მასსა და მისი ნების-ყოფა!

ყარდაშიანი ეხლა კი დაიწყო, ჩვენმა „ფილოფოფოსმა!“

ირაკლი. პიროვნება, როგორც ეგეთი, მოჩვენებაა, სინამდვილეა მხოლოდ ძალა, ძალა მშრომელი ხალხისა! ამიტომ ჩვენ უნდა ავლაგმოთ თითოეულის კერძო გულისთქმა და ჩვენი **მეობა** ხალხთა კრებულს, საზოგადოებას, დავუმორჩილოთ. რას ნიშნავს „**მე**“ იქ, სადაც ბრძანებლობს „**ჩვენ**“!.. ვინც ასე არა ჰფიქრობს, ის ჩვენი ამხანაგი ვერ იქნება! კმარა ზღაპრები, თორემ უიმისოდაც შეირყვნა ჩვენი ჯგუფი, ჩვენი დასი! უიმისოდაც ბევრი არამზადა ჩამოგვერია და პიროვნების სახელით, ჩვენი ერთობის დარღვევას აპირებენ. (აღელვებით) მე ვხედავ, მე ვგრძნობ, რომ ციხე შიგნიდან ტყდება!

თევდორე (აუჩქარებლივ) მაკვირვებს ამხანაგო, შენი აპილპილება! ჩვენი ციხის გამტეხი კაცი ჯერ არ დაბადებულა! ჩვენ ჩვენი საქმე გავაკეთოთ და მერე ვნახავთ, რაც იქნება.

ირაკლი იქნება ის, ჩემო ამხანაგო, რომ, ვიდრე ჩვენ ამ ფურცლებს დავბეჭდავდეთ, ამათ შინაარსი კიდეც ეცოდინებათ, სადაც ჯერ არს!

ლეონ ბერგი (აქამდე თავს იკავებდა. მედიდურად ათვალიერებდა ყველას.) როგორცა სჩანს, ბატონო ირაკლი, თქვენ უკვე გცნობებიათ ჩვენი მოღალატენი! მომავალ კრებაზე მე მოვთხოვთ მათს დასახელებას.

ყარდაშიანი (თავისთვის, მაგრამ ყველას გასაგონად.) ბატონო,... ბატონო! რას ჩააცივდენ ამ სიტყვას? ჩვენ ბატონები აღარ გვყავს. ჩვენ გვყანან მხოლოდ ამხანაგები.

ირაკლი (ყარდაშიანს გაჯავრებით გადახედავს) (ბერგს) მე დასახელებისა არა ვიცი-რა! როცა საკმაო საბუთს ვიპოვნი, ჩემის ხელით დავარჩობ მოღალატეს... კატის კნუტივით დავარჩობ! (გაბრაზებით დაანარცხებს ბწკართა ყალიბს (ვერსტატს) და გამწარებით ხელზე იკბენს).

თევდორე (იღიმება, დინჯად) შენ აღარ ხუმრობ, ამხანაგო ირაკლი!?.

ირაკლი უადგილო ადგილას მხოლოდ არამზადები ხუმრობენ ხოლმე!

ლეონ ბერგი არა მესმის-რა... Ничего не понимаю!..

ირაკლი ყველანი მალე გაიგებთ და მათ შორის თქვენც, ბატონო ბერგ!...

ლეონ ბერგი მე ჯერ პასუხს არ გაგცემთ, ვინაიდგან აქ საჩხუბრად არ მოვსულვარ...

განო (აღშფოთებული) ამხანაგო ირაკლი! სიტყვას სამხედვარი სჭირია!

ირაკლი (გვერდზე შეხედავს განოს) მხოლოდ **არა** იმ დროს, როცა უტიფრობას დასასრული არა აქვს· (ყარდაშიანს) ამხანაგო, მოამზადე დაზგა, ჩემი სვეტი უკვე მზად არის!

ყარდაშიანი. კარგია, მეც ბატონი არ დამიძახე.

ირაკლი. (თავისთვის) სულელი!

ლეონ ბერგი. (მივა ხელით-საბეჭდავ მანქანასთან) აბა, მოიტანეთ თქვენ-თქვენი ანაწყობი.

(ყველას ჩიაქვს თავ თავისი სვეტი. **განო** წარბ შეკვრით აიღებს გორგოლას („ვალოკს“), საღებავს ლესავს და თან ლეონისაკენ იყურება. ბერგი ზურგშექცეული სდგას, დაზგის ყურისათვის ხელი მოუკიდია, დაფიქრებულა. **თევდორე** სვეტებს ათვალიერებს. **ნინო, ქეთო და ყარდაშიანი** ერთად შეჯგუფულან და ჩურჩულებენ. ირაკლი ისევ კასსასთან არის, იდაყვით დაყრდნობია მას, ხელის გულზე თავი დაუდვია და ღრმად ჩაფიქრებულა. მაღლიდან კვლავ მოისმის სტვენა. ყველანი კიბეს შეხედვენ. ჩამოდის **ლადო**, მას უკან მისდევს **არტემ გუგულიანი**.

III

ლადო (ჩამოსვლისათანავე) გამარჯვება ამხანაგებს, გამარჯვება ჩვენს საქმეს!

არტემა (იმეორებს ლადოს სიტყვებს).

ლადო. აბა, ამხანაგებო, მზადა გაქვთ? ხალხი მოუთმენლად მოელის ჩვენს სიტყვას.

თითქმის ყველანი. აწყობილია, და ბეჭდვა ღა უნდა.

არტემა. (სვეტებს ათვალიერებს) ჯან, ბიჭებო! ჯან ამხანაგებო!!..

ლადო დავაჩქაროთ, გეთაყვა, თორემ, მგონია, ჩვენს სტამბაზე გეზი მოუტანიათ!

რამდენიმე ხმა (განცვიფრებით) გეზი?

ირაკლი მე კი არ ვიცოდი!?

ლეონ ბერგი ჩვენ სტამბას ეშმაკიც ვერ მოაგნებს.

თევდორე (დინჯად) (ჩაფიქრებით) **ისინი** ეშმაკებზე უარესნი არიან.

ნინო რა გვეშველება, რომ მოგვაგნონ?

ქეთო (მწარე ღიმილით.) თვალებს თაგვიკოცნიან!

არტემა ვერაფერსაც ვერ გვიზმენ! თუ ისინი ერთი ხვრელიდან ჩამოვლენ, ჩვენ მეორეში გავიპარებით...

ყარდაშიანი (დაცინვით) ტყვილად ხომ არა გქვიან მეტ სახელად ,,მიწის მგელი''?

არტემა (ღიმილით) მიწის მგელი სჯობია ვირთაგვას!

ლადო კმარა! რა დროს ლაყბობაა. აბა, შევუდგეთ ბეჭდვას.

ლეონი (დაზგის ფიცარს ხელს მოჰკიდებს. **განო** საღებავიან გორგოლას მოიმარჯვებს და სვეტებს წაუს-წამოუსვამს).

ირაკლი (ფიქრებიდან გამოერკვევა, თავს გააქნევს, ამოიოხრებს და მტკიცედ) ამხანაგებო, ჩვენ შორის ვიღაც მოღალატე უნდა იყოს!

ლეონ ბერგი (გამოსძახებს) მაგას მხოლოდ სიმხდალე გალაპარაკებთ .. ნერვები აგშლიათ!

ირაკლი (შეუბღვერს, გესლიანად) ნერვები იმასა აქვს აშლილი, ვინც თვალთ მაქცობს!

ლეონ ბერგი (ირონიულად აათვალიერ-ჩაათვალიერებს ირაკლის.

ყველანი შეშფოთდებიან.)

ლადო (გავლენიანად) ლეონ! ირაკლი! (**ლეონი და ირაკლი**, თითქოს ერთმანეთის ძალღონეს ზომავენო, ერთხელ კიდევ დაუბღვერენ ურთ-ერთს. სიჩუმე. იწყებენ ბეჭდვას. **ლადო** თვალს ადევნებს მუშაობას.)

ყარდაშიანი (ირაკლის განზე გამოიყვანს) რათა ხარ აგრე ამრეზილი, ამხანაგო?

ირაკლი გული მტკივა, გული!

ყარდაშიანი სისულელეა! მე მგონია, რომ განო...

ირაკლი წავიდა ხელიდან!.. სულელი შენა ხარ, რომ ვერასა ხედავ.

ყარდაშიანი (ირაკლის) დასანახი ჯერ არაფერია!

ირაკლი (დაღონებული) ნეტარ არიან მორწმუნენი!

ყარდაშიანი ხოლო უბედურ არიან შფოთნი გულითა! (იცინის) (ხელს გადახვევს ირაკლის და სერიოზულად) კარგი იქნება ამხანაგო, რომ ანარქისტობას თავი დაანებო (ხელს მომუჭავს, ღიმილით ირაკლის ყურზე მიიდებს და ჩასჩურჩულებს) არავის უთხრა და... მეც კი ცოტათი მოვიანარქისტებ!..

ირაკლი (მწარის ღიმილით, ასევე გააკეთებს ხელს, მიიტანს ყარდაშიანის ყურთან და უჩურჩულებს) შენც არავის უთხრა და, რაკი ანარქიზმისა არა გცოდნია-რა, მე მგონია შენ უფრო... მოიდაშნაკცაკანებ!

ყარდაშიანი. (ტაში ტაშს შემოჰკრავს და გულიანად გადიხარხარებს. ყველანი ყურადღებას მიაქცევენ, გარდა ლადოსი, რომელიც უკვე დაბეჭდილ ფურცელს თავისთვის კითხულობს.)

ლადო. ჩინებულია., დიდებულია! ჩემო თევდორე, როგორც წერვა გეხერხება, ისე ლაპარაკი რომ გეხერხებოდეს, კლდეს დაანგრევდი.

თევდორე (დინჯად, ღიმილით) კოჭლმა ძაღლმა კურდღელი რომ მოგიბრუნოს, ისიც კარგიაო. ლაპარაკი-კი ამდენი ხნის ციხეში ჯდომამ გადამავიწყა.

ლეონ ბერგი, (გატაცებით) ჩვენ დავანგრევთ იმ ციხეებს!

განო. ჩვენ ავაგებთ ტაძარს ძმობა-ერთობისასა და სიყვარულისას!

ირაკლი მე კი... ავანთებ კოცონს შურის ძიებისას! (განოსა და ლეონს ალმაცერად გადახედავს.)

განო (შეამჩნევს) სადაც სიყვარულია, იქ შურისძიებას ადგილი არა აქვს!

ირაკლი—ბრმა რომ ბრმას აეკიდება, იქ სიყვარული აღარ არის... ირაკლი. მე მაინც შურს ვიძიებ! (დააცქერდება განოს, მერე ლეონ ბერგს შეხედავს, წარბ შეკვრით, კუშტად.)

ყარდაშიანი როგორცა ჰქუხს, ისე არა სწვიმს ხოლმე.

არტემა (ყარდაშიანს) მოისვენე, ბიჭო, სამგლე გოჭივით ნუ ატეხილხარ.

ყარდაშიანი ყურებზე ხახვი არავინ დამაჭრას! (უცბად დაავლებს ხელს დაბეჭდილ ფურცლებს, არტისტიულად ფეხს წინ წამოდგამს, მარცხენა ხელს უბეში ჩაიდებს და რიხიანად კითხულობს) ტანჯულნო მთელის ქვეყნისა შეერთდით! (ყველანი შემოეხვევიან).

ყარდაშიანი (იმეორებს) ტანჯულნო მთელის ქვეყნისა შეერთდით! დაჰკრა საათმა შურის ძიებისამ! ამიერიდან უნდა დაინგრეს ყოველივე ბოროტება და დამყარდეს ქვეყნად სიკეთე, სიკეთე დაუსრულებელი, მომნიჭებელი შვებისა და ბედნიერებისა! ვინც კი ტანჯულ ცხოვრებას სულით არ დაუძაბუნებიხართ, ვისაც ცოტათი კიდევ შეგრჩენიათ ადამიანური ფიქრი და გრძნობა,—როცა გაიგონებთ სიმღერას თავისუფლებისას, თქვენის ტანჯულის გულიდგან ამოხეთქილი ხმაც შეუერთეთ ამ სიმღერას! მაშინ სიმღერა იგი იქცევა საყვირად იერიხონისა და საყვირი იგი დაანგრევს ბჭეთა ვერაგობისას. ძირს ბატონობა! გაუმარჯოს ძმობასა, ერთობასა და თავისუფლებას!

ყველანი (აღტაცებულნი) ძირს ავკაცობა! გაუმარჯოს ძმობასა და თავისუფლებას!

არა უჭირდა რა. კოდი სიმინდი 7 მანეთამდი ავიდა. უპურობა ახლავე შეეტყო სოფელს. განუწყვეტელმა ჯარში გაწვევამ ხალხი მეტად შეამცირა. ოთხსა და ხუთ კომლში ორი მუშა კაცი აღარ მოიპოვება. ხშირად შეხვდებით დედაკაცებს გუთანსა და ურმის თავზედ მჯდომარეს, მუშა ორ მანეთად ფასობს, მაგრამ ისიც ძნელი საშოვარია. აქაურ ვაჭარ-სომხებისაგან გამწარებულმა მცხოვრებლებმა მომხმარებელი საზოგადოების დაარსება გადაწყვიტეს. გუბერნატორიდან ნებართვა მიიღეს, მაგრამ ამ საქმეს დაუდევრობა აფერხებს. ამ უკანასკნელ დროში სოფელს შინაური ფრინველის ჭირი მოედო ხალხი ძრიელ შეწუხებულია.

— **სოფ. მირზაანი.** (სიღნაღის მაზრა) ჩვენ საზოგადოებაში შედის თვით. მირზაანი 700 კომლით, არბოშიკი—400 კომლით. და სალუნკაანი—105 კომლით. ომმა ამ სოფლებსაც დიდძალი ახალგაზდობა მოსტაცა. ომამდი ეს საზოგადოება ერთ მდიდარ საზოგადოებად ითვლებოდა, ახლა კი ყველგან სიდატაკეა. სამი წელიწადია, კარგი მოსავალი არ გვინახავს.

— **სოფ. ლანჩხუთი.** ჭირმა საქონელს მესრი გაავლო.

— **სოფ. ხორში.** 28 ნოემბერს ჩაფრებმა მოჰკლეს ყაჩაღი პ. გვარამია.

პატარა წერილები.

X

ქართველ სამღვდელოებას ამ ჟამად, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ,,შინაურ საქმეებს'', რომელიც ხან გამოშვებით წელიწადში ორჯერ თუ სამჯერ გამოდის, თავის საკუთარი სასულიერო შინარსის ორგანო არ აქვს. განსვენებული დავით ღამბაშიძის ორმაგი შრომით და მეცადინეობით ერთად ერთმა ქართულმა სასულიერო „ჟურნალმა ,,მწყემსმა'' თითქმის ოცდა ათი წელი-წადი იარსება ჩვენში და ქართულ სამღვდელოებას დიდი ამაგიც დასდვა,

მძინარე ნაწილი სამღვდელოების გამოაღვიძა, თანამედროვე ცხოვრებას ჩაუყენა კვალში და კითხვა შეაყვარა. ამ მეომარ დეკანოზ—მღვდლის გარდაცვალების შემდეგ აგერ ოთხი თუ ხუთი წელიწადი გადის და ქართველმა სამღვდელობამ არ იქნა და ვერ მოახერხა სასულიერო ორგანოს დაარსება. ამას იმდენად ნივთიერი გარემოება არ უშლის ხელს, რამდენადაც ჩვენებური უინიანობა და დაუდევრობა.

ჩვენს ეკლესიებს ძალით აჩეჩებენ ხელში ორს ოფიციალურს რუსულ ჟურნალს. გინდა თუ არა მაინც უნდა გამოიწერო. ერთი ამ ჟურნალთაგანი პეტროგრადში გამოდის და ყოველკვირეულია და მეორე ჩვენ დედა ქ. თბილისში გამოდის და ორ კვირეულია. ასე რომ, როდესაც ყოველივეს პეტროგრადელი ჟურნალიდან გაიგებ მასუკან მიიღებ თბილისელ ჟურნალს. ამ ჟურნალის ფურცლებს ჩვენი სამღვდელოების უმრავლესობა არც კი ჭრის, ისე აგროვებს საეკლესიო განჯინაში, სადაც ზამთრისათვის ბლომად უმზადებს საზრდოს თაგვებსა და ვირთხებს

სამღვდელოებას სხვანაირად არც კი შეუძლია, რომ მოიქცეს. ერთმა მისმა ნაწილმა ან სრულიად არ იცის რუსული კითხვა და ან თუ ასოებს არჩევს შინაარსის გაგებისათვის ძალა არ შესწევს და რომ გაიგოს კიდეც ამ ჟურნალების უშინარსო წერილები ზიზღსა ჰგვრის და ძალა უნებურად იშორებს თავიდან. გასაოცარია, ღმერთმანი, უმაღლესი სასულიერო მთავრობა, რატომ არ შეიბრალებს საეკლესიო ,,კრუჟკებს'' სადაც ხშირად ღარიბ-ღატაკნი სდებენ ნაცოდვილარ გროშებს თაგვების საზრდო სათვის კი არა, ეკლესიის გასამშვენებლად და გასალამაზებლად.

კრებულს რომ ნება ჰქონდეს ამ ,,კრუჟკების'' შემოსავლიდან თავის მიხედვისამებრ გამოიწეროს რუსულ—ქართული შინარსიანი და სასარგებლო ჟურნალწიგნაკები ეს კი მესმის, მაგრამ ამის ნებას მათ არა ვინ არ აძლევს და ძალით გამოწერილებს კი თაგვები სჭამენ.

მიუცილებლად საჭიროა ჩვენს ეკლესიებს ერთი ოფიციალური ჟურნალი აკმარონ, და მეორე სხვაზე გასაღონ, სადაც ენებოსთ და ქართველმა სამღვდელოებამ კი რითაც უნდა დაუჯდეს, თავის საკუთარი ქართული სასულიერო ჟურნალი უნდა დაიაროს. მადლობა ღმერთს ეხლა მაინც ბევრი გვყავს აკადემიელ—უნივერსტანტები.—

მ. ბუაჩიძე.

რუსეთი.

სახელმწიფო სათათბიროს ფინანსიურმა კომისიამ სამხედრო მრეწველობიდან მოგების გადასახდზე კანონპროექტის განხილვა უკვე დაასრულა.

გადასახადი უნდა იხადონ იმათ, რომელნიც სამხედრო სავაჭრო-სამრეწველო საქმეს აწარმოებენ და მით ფულს იგებენ.

გადასახადი იწყება ექვსი პროცენტიდან დღეს საქმეში წარმოებულ კაპიტალზე რაც ამ კაპიტალს შემდეგში მოემატება, გადასახადი ერგება ხაზინას არა ნაკლებ სამი პროცენტი'ა.

მოგების ნორმად ნაანგარიშევია 15-45 პროცენტი.

ამავე გადასახადს ექვემდებიაარეინ დირექტორები, შუამავლები, კომისიონერები და აქციონერები ამგვარ სავაჭრო სამრეწველო საქმისა და რომლების ომის დროს მომეტებულ ჯამაგირებს იღებენ პროცენტისა, კომისიისა, ანუ დივიდენდის სახით

როძიანკოს სათათბიროში განუცხადებია, რომ ხშირად მის მიერ გაშვებულ დეპუტატთა სიტყვები გადამახინჯებული და ცენზორისაგან შემოკლებული იბეჭდება. საქმე იქამდე მისულა, რომ დეპუტატების სიტყვების შინაარს სრულიათ სცვლიან მაგალითად ამას წინად მოსკოვში ხელიდან ხელში გადადიოდა კ. ჩხეიძის სიტყვის სტენოგრაფიული ანგარიში, რომელსაც არაფერი საერთო ჩხეიძის ნამხვილ სიტყვასთან არა ქონდა, ხოლო აზრი კი სრულიად საწინააღმდეგო იყო.

— რუსეთის მემარჯვენეთა ორივე ჯგუფს შუამდგომლობა აღუძრავს მთავრობის წინაშე, რომ მასკოვში სრულიად რუსეთის ყრილობის მოწვევის ნება მისცენ, მაგრამ შუამდგომლობა შეწყნარებული არ იქნა.

— ა. ფ. ტრეპოვს მემარჯვენეთაგან მუქარის წერილი მოსვლია. წერილის ავტორები იმით არიან აღშფოთებულნი, რომ პირველი მინისტრი სათათბიროს თავმჯდომარეს ეთათბირა.

— წელს ძალიან გაიზარდა ხალხში ინტერესი რკინის გზების გაყვანისადმი. გზათა მიმოსვლის სამინისტროში მრავლად მიდიან ცნობების მისაღებად.

— ეხლა სამეცნიერო-ფინანსიური წრეები არკვევენ იმ საკითხს, თუ რა სახით შეიძლება რუსეთის სახელმწიფო სესხის ქაღალდების განაღდება ომის შემდეგ. ხაზინის ვალი ამ ჟამად ათ მილიონ მანეთს უდრის. ფინანსიურ საქმების მცოდნე პირები ვერ ეთანხმებიან ერთმანეთს და სხვა და სხვა აზრს გამოსქვამენ.

— სახელმწიფო სათათბიროში შრომის ჯგუფსა და სოციალ დემოკრატებს კოოპერატიულ კავშირების დევნის გამო შეკითხვა შეუტანიათ.

ჩერნიგორიის ეპისკოპოსს მარდაირიის ამ მოკლე ხანში ლექციებს წაიკითხავს, შემდეგ ტემაზე ,,რუსეთის ამოცანა'' მარდარიდიგანმარტავს რუსეთის ეკლესიის მდგომარეობას, რომელიც ბნელმა ძალებმა შეჰქმნეს.

უცხოეთი.

ავსტრიის პრემიერ მინისტრი კერბერი თანამდებობიდან გადააყენეს; მის ადგილზე დანიშნეს შპიტცმიულერი. როგორც უცხოეთის გაზეთები ირწმუნებიან პრემიერის გამოცვლა გამოწვეულია იმით, რომ ერბერი ავსტრიისა და უნგრეთის ეკონომიურ დამოკიდებულებაში უნგრეთის დანკორჩიებას ესწრაფოდა.

— საფრანგეთში ყველა ვინც ჯარში არ არის გაწვეული მოვალეა განსაკუთრებული გადასახადი იხადოს

— პრეზიდენტს ვილსონს უარი უთქვამს ზავის ჩამოსაგდებად შუამავლობაზე.

— როგორც ბერლინიდან იტყობინებიან გერმანეთის სამხედრო ქარხნებიდან ერთი მილლიონი კაცი ჯარში გაუწვევიათ, ხოლო მათ ადგილზე დააყენებენ დაპყრობილ ქვეყნებიდან გამოყვანილ 300 ათას ბელგიელს, 200 ათას ფრანგს და ნახევარ მილლიონ პოლონელს.

მოწოდება.

მიუხედავათ ამ საშინელი ომისაგან გამოწვეულ კრიზისისა, მექვენის საზოგადოებას არასოდეს არ ეშინებოდა ისეთი წინსვლა, როგორიც დღეს. ხალხსა გონივრულად შეიგნო, რომ ამ დუხჭირ ცხოვრებიდან მხოლოდ მაშინ შეიძლება თავის დახსნა, როდესაც მას შეგნებულათ გაუმკლავდება ადამიანი და თვით დახუჭული არ გაჰყვება ცხოვრების ტალღების ორომ-ტრიალს.

ჩვენი საზოგადოება დიდის მხნეობით ჩაება კულტურულ-განმანათლებელ მუშაობაში და თუმც რამოდენიმე ბოროტი ადამიანებიც კი გადაეღობა მის ასეთ სურვილებს, საზოგადოებამ მაინც თავისი გაიტანა და დღეს ჩვენს ჩამორჩენილ კუთხეს ამშვენებს საკრედიტო ამხანაგობა, კოოპერატიული მაღაზია და ადგილობრივ ქველმოქმედ თომა ბანძაძის მეოხებით სამკითხველოსთვის საგანგებოდ აშენებული კოხტა სახლი.

თუ ოდესმე ყოფილა სამკითხველოს საჭირო, ის დღეს ორმაგად [illegible] მაგრამ ამის და [illegible] საც დახურული გვაქვს უსახსრობის გამო. სამკითხველოს წევრების საზოგადო კრებამ ითათბირა რა სამკითხველოს საჭიროთ ამოძრავების შესახებ, მივიდა იმ დასკვნამდე რომ ადგილობრივ, ჯერ კიდევ ხალხის მოუმზადებლობის გამო, ძნელია ისეთი თანხის შეძენა, რომელიც ამ საქმეს სრულებით ეყოფა და ამიტომ გადაწყვიტა შეუდგეს ფულების თუ წიგნების შეკრებას ფართე საზოგადოებაში და ეს საქმე მიენდო როგორც გამგეობას, აგრეთვე საზოგადო მოღვაწეებს სამსახურის გამო ამ საზოგადოებიდან წასულთ, რათა თავიანთ ნაცნობ-თანამოაზრეებში გამართონ ხელის მოწერა ჩვენი სამკითხველოს სასარგებლოდ.

დასასრულ გამგეობა უმორჩილესათ სთხოვს ამ საქმის გულშემატკივართ არ დაიშურონ თავისი წვლილი შემოწირულება ფულითა თუ წიგნებით გამოგზავნონ შემდეგის მისამართით: ფოსტის სადგური მექვენა ამბაკო რაზმაძეს, მექვენის სამკითხველოსათვის.

უმორჩილესათ ვსთხოვთ ქართულ გაზეთებს გადაბეჭდონ ეს მოწოდება.

გამგეობის წევრები: ამბაკო რაზმაძე,
მღვდელი აკაკი ახვლედიანი
მასწ. ეპიფანე ასათიანი.

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო“

მასაჟისა და სახის სამკურნ. კაბინეტი
მარიამ ტ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს. ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე განის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლი. № 17.

გამოცდილი სტუდენტი ამზადებს მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. ჰყავს ჯგუფი საოფიცრო მოწაფეებისა I და II ხარისხ. იყვანს პირობით. მისამართი: თფილისის ქ. № 35 მიქელაძის სახლებში, მეორე სართულზე, გაზ. „სამშობლო“-ს რედაქციის ზევით. მიღება 9—12 ს. და 3—6 ს. საღ. მასწავლებელი ა. ზ. თელ. ტელეფონი № 183.

იყიდება სახლი და მამული 2 სართულიანი ქვის შენობა ქვის სარდაფით. მიწაა 350 კვ. საჟ. ქუთაისში პუშკინის ქ., № 10. პირობების გასაგებათ მიმართეთ თბილისში მახეიდის ქ. № 113,
ექიმ გოკიელოვს.

ლადო (გატაცებით) ამხანაგებო, ახლა კი დროა ავიდეთ ზევით... მზეზე!

ხმები ავიდეთ! ავიდეთ! გაუმარჯოს მზეს! ძირს ჯურღმული!

თევდორე (ყველას ურიგებს ფურცლებს და სათითაოდ ადიან კიბეზე. **ირაკლი** სარგებლობს ჩოჩქოლით და კასსებს ეფარება. კიბესთან რჩებიან მარტო **ლეონ** და **განო**).

IV.

განო (ლეონს, რომელიც ფეხს შესდგამს კიბეზე ასასვლელად.) მოიცა ლეონ!. მოიფიქრე?... მე უშენოდ სიცოცხლე აღარ შემიძლია! გეთაყვა, სულმოკლეობასა და დიაცობაში ნუ ჩამომართმევ ამ ჩემს სიტყვას, ვინაიდგან პატიოსანისა და უმწიკვლო ცხოვრების ერთად ერთი თავმდები არის მხოლოდ გულახდილობა და პირდაპირობა. ჩვენ,—ხალხის ხელმძღვანელებს, თვალთმაქცობა და მოტყუება არ შეგვეფერის. დროა გამოვუტყდეთ ამხანაგებსაც და თამამად შევხედოთ მათ თვალებში... ამხანაგებს უკვე ეჭვი აულიათ ჩვენს სიყვარულზე და აღარც მე მინდა ჩვენი ურთი-ერთობის დამალვა.. შენც ხომ გიყვარვარ!

ლეონ ბერგი მე რომ მიყვარხარ ეგ იმას არ ნიშნავს—ყველას ანგარიში ვაძლიოთ ჩვენი პირადი გრძნობისა. (ღიმილით) მე მაინც არ მესმის, რას თხოულობ ჩემგან?

განო იმას, რომ საჯაროდ მიეცეთ ერთმანეთს ხელი და ბოლო მოვუღოთ მალულობას.

ლეონ ბერგი. მე არავის არ ვემალები, ჩვენ პირად გრძნობას კი—როგორც წეღანაც გითხარი—არავის ვაკითხებ!

განო ჩვენი პირადი ცხოვრება მაგალითი უნდა იყოს სხვებისათვის. (გაუბედავად) გოგო-ბიჭობა კი არ შეგვეფერის.

ლეონ ბერგი. რაში ხედავ გოგო-ბიჭობას?

განო. იმაში, რომ ამხანაგებს არ ვუმხელთ ჩვენს გულისნადებს. . ჩვენ თითქოს გვრცხვენია ჩვენის ბედნიერებისა, ჩვენის სიყვარულისა! დაე, გაიგოს ქვეყანამ, რომ ჩვენ ერთმანეთისა უნდა ვიყვნეთ და მაშინ მიმახურე კუბოს კარამდე. წამიყვანე საცა გინდა, რა ქვეყანაშიაც გსურს... ერთი წუთითაც აღარ მოგშორდები. შენზე მოქნეულ მტრის ხმალს მე შევუშვერ ჩემს სახეს, შენზე ნასროლ ტყვიას მე მივაგებებ ჩემს მკერდს, ლეონ, ჩემო ლეონ! (ალერსიანად) შენი მეუღლე მეც შენსავით ამოვიდგამ ბულბულის ენას, მეც შენსავით ვიბრძოლებ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. ხოლო, როცა ამოვა მზე თავისუფლებისა, როცა შენი სალოცავი მშრომელი ხალხი გაიმარჯვებს, პირველი მე ავაფრიალებ დროშას ერთობისას და ვამცნებ ქვეყანას, რომ შენ იყავ ის გმირი, რომელმაც შემანიჭე მადლი ხალხის სამსახურსა, ჩემო ყველავ, ჩემო სულის დგმავ, ნუ მომკლავ უშენოს, ნუ ჩამიქრობ ლაპარს უკვდავი სიყვარულისას! (ჯერ ყოყმანობს, მერე უცბად მივარდება ბერგს და მოეხვევა).

ლეონ ბერგი. (ხელს გადახვევს) ცოტა კიდევ მომიცადე, ჩემო კარგო, ერთი დიდი საქმე მაქვს გასაკეთებელი...

განო (აწყვეტინებს, ალტაცებით) მეც მოგეშველები... მეც ხელს შეგიწყობ, ჩემო სასოებავ, ჩემო სალოცავო! წავიდეთ, ერთად გავაკეთოთ ის დიდი საქმე!

ლეონ ბერგი (სიცილით) შენ ჯერ აქ იმუშავე, უერთგულე ამათ და მეც მიერთგულე. რაც მე არ ვიცი აქაური ამბავისა, შენ ამიხსენი, შენ მასწავლე, ხოლო როცა მოვრჩები იმ საქმეს, წავიდეთ აქედან და ბედნიერად ვიცხოვროთ ისეთს ქვეყანაში, სადაც მზეს ღრუბლები არასოდეს არ ეფარება და მთვარიანი ღამეები დაუსრულებელ სიყვარულის ზღაპრებს მოგვითხრობენ.

განო ოხ, ბედნიერებავ, ოხ, ნეტარებავ! (ეხუტება).

ლეონ ბერგი. (მოულოდნელად) განო! სხვა არავინ გყვარებია?

განო. (ღიმილით) როგორ არა! მიყვარდა სიზმარში ნახული ჰაბუკი (ასწერს ბერგის გარეგნობას) ტანადი, ახოვანი, ქერა. მშვენიერი კულულა თმები მხრებზე ეფინა. ისეთი ლურჯი, ისეთი მოციმარი თვალები ჰქონდა, როგორი ლურჯი და მოციმარიც არის ხოლმე დილის ცვარით პირდაბანილი მორცხვი ია! მისი კოპწია ულვაშები, მარჯანა ტუჩები, მეტყველი ენა და ფრიალო კლდესავით მაღალი, მარმარილოსავით სპეტაკი შუბლი მუდამ თვალწინ მედგა და ნეტარების ჟრუანტელს მგვრიდა. მისი ხმა, მისი სიტყვა, ცეცხლივით აღმგზნები სიტყვა,—ბოროტებასთან საბრძოლველად მომწოდებელი მისი კიჟინა,—მიტაცებდა შორს, შორს, ოცნების სამთავროში და თავი ჩემი ქვეყნის დედოფლად მეგულებოდა! გუშინწინ გამოვეთხიზლდი, სიზმარი სინამდვილეზე შემეცვალა. გავაღე უსაიდუმლოესი კუნჭული ჩემის ქალწულებრივი გულისა და ამ კუნჭულში ჩავმარხე სურათი იმ ჰაბუკისა. ეს ჰაბუკი იყო ოცნებაში ჩემი იდეალი და სინამდვილეში კი არის... ლეონ ბერგი!... (ეკრობა, ელერსება) ჩემო მშვენიერო, ჩემო ყველავ!

ლეონ ბერგი. (სიამოვნებით გადიხარხარებს) მე კი მეგონა მართლა მეტოქე ვინმე მყავს—მეთქი!

განო. შენი მეტოქე მხოლოდ სიკვდილია. მარტო ის მომაშორებს შენს თავს, ჩემო მშვენიერო, ჩემო ანგელოზო! უცბად ყელზე მოეხვევა და მაგრად ჩაჰკოცნის ტუჩებში... კასსის უკან რაღაცა დაბრაგუნდება. ლეონ ბერგი და განო შეკრთებიან, ერთმანეთს გაშორდებიან...)

ლეონ ბერგი. (აღელვებული) კმარა! გვეყოფა სიგიჟე!.. გული დაიმშვიდე... აქაურობას მოუარე... მორიგე ხარ... ორი საათის შემდეგ—კი შინ დამხვდი. Adieu! (უცბად აირბენს კიბეზე).

განო (მიაძახებს) ნახვამდის, ჩემო ვაშკაცო, თუ ამ ორ საათში სიხარულისაგან სული არ ამომხდა! (ბარბაცით აქეთ იქით აწყდება, მიდის სტოლთან და თითქოს სიზმარშიაო, ღიმილმორეული, უაზროდ ხელებს აფათურებს).

V.

ირაკლი (გამოდის საფარიდან. გულ ხელს დაიკრებს, წარმშეკრულია) განო?!

განო. (შეშინებული მოტრიალდება და განცვიფრებული ირაკლის დააშტერდება, თითქოს ვერა სცნობსო.)

ირაკლი (ცრემლ მორეულის, საყვედურის ხმით) მაშ, აგრე? განო... განო!

განო. (ხმის კანკალით, ამრეზით.) აქ რა გინდა?

ირაკლი. (მწარე ღიმილით) მე მინდოდა მენახა, როგორ დაიჭერდა თავს ჭკვიანი, დარბაისელი ქართველი მებრძოლი ქალი ლამაზი ვაჟკაცის წინაშე და კასსის უკან დავიმალე... მე მსურდა დავრწმუნებულიყავი—რომ.. შენისთანა ქალებსაც კი ჭკუა თვალებში ჰქონიათ! (მძიმედ, დემონიურად ხარხარებს).

განო. (აღშფოთებული) გრცხვენოდეთ მზვერაობისათვის! ან რა ნება გაქვთ, რომ ჩემს შინაურ საქმეებში ერევით?!

ირაკლი. თქვენ მოტყუებული ხართ!

განო. არც ეგ არის თქვენი საქმე!

ირაკლი. თქვენ ვერ ხედავთ, რომ სულით-ხორცამდე იღუპებით!

განო. (დაუყვირებს) შველას არავინა გთხოვთ!

ირაკლი. მე მაინც უნდა გიშველოთ!

განო. რა უფლებით?

ირაკლი. (თქმა ეძნელება) მე თქვენ მიუწდომელი არსება მეგონეთ... ვერ გიბედავდით, თორემ მე თქვენ... მიყვარდით... ახლაც მიყვარხართ, თუმცა თქვენი ბაგენი უკვე წაიბილწენ!...

განო. (გაოცებული) რაო, რა სთქვით?

ირაკლი. მე თქვენ მიყვარხართ! განო... განო!

განო (გაშეფოთებით) მე კი... მძულხართ!

ირაკლი. შემიბრალეთ... ნუ გამწირავთ! განო... განო! (მუხლებზე დაეცემა და უნდა კაბის კალთაზე ემბოროს.)

განო (განზე გახტება) თვალებზე ხელს აიფარებს)

ირაკლი. (ცალ მუხლზე დაჩოქილი, ვედრებით) გაფიცებ მაღლა ცას და ძირს დედამიწას... გაფიცებ იმ ტანჯულ ხალხს, ჩვენ რომ ვემსახურებით, დაანებე თავი ლეონ ბერგს და მე მიყვე... მე მიმონე. ნუ გამტანჯავ... ნუ ამომხდი უდროოდ სულს! (წამოდგება და უნდა მოეხვიოს)

განო. (ხელსა ჰკრავს) მე თავისუფალი აღარა ვარ!..

ირაკლი. განო! განო! დაფიქრდი... თვალები გაახილე! ნუ დამწიხლავ შენს მმოსავს, შენს ერთგულ ყმას... შენს მონას!

განო. მონას მონობის მეტი რა მოეთხოვება? მე თაყვანს ვსცემ მხოლოდ ღვთაებას ჩემის გულისას და ეს ღვთაება კი ის არის!

ირაკლი. ის ეშმაკია! ის მოღალატეა... ის მგმობელია ხალხისა!

განო. შენ თვითონ ხარ ცუდზე უცუდესი! ის მხსნელია ხალხისა!

ირაკლი. (წელში გაიმართება და მწარედ, მწარედ ჩაიცინებს) მე მგონია, რომ ის ჯაშუშიც უნდა იყოს!

განო. (თავზარ დაცემული, შეშფოთებული მიუახლოვდება ირაკლის და კბილების კრაჭუნით) რა სთქვი? გაიმეორე, რა სთქვი?

ირაკლი. (ერთ ნაბიჯს უკან გადასდგამს, მტკიცედ და დაცინვით) ის... ჯაშუშია!

განო. (მუშტებს მოჰკუმავს, ხელებს მაღლა სწევს, ირაკლის მივარდება.) ოხ! შე საზიზღარო, ცილის მწამებელო! (მწარედ დაიხლაკნება, ირაკლის მოწყვეტით სილასა სტკეცს და კიბეზე აქანდება).

ირაკლი. (დაიგმინებს, წაბარბაცდება, თვალებზე ხელებს აიფარებს და ბრაზმორეული ქვითინით სტოლზე დაემხობა).

ფ ა რ დ ა
ნელ-ნელა იშვება.

ია ეკალაძე.

(შემდეგი იქნება)

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა ალ. კოხრეიძისა

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.